



საქართველო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულო



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №12

2015 წლის 30 იანვარი

ქ. ლანჩხუთი

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი“-სათვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვიანში მდებარე შენობა ნაგებობა N1 საერთო ფართობით 400.40 კვ.მ და მასზე მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1433 კვ.მ. მიწის ნაკვეთის) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 27.04.50.208 სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ხელაძე